

გენდერული თანასწორობის

ინდიკატორები მუნიციპალიტეტებისთვის



ანგარიში მოამზადა გაეროს ქალთა ორგანიზაციამ, საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურთან და საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნულ ასოციაციასთან თანამშრომლობით. გაეროს ქალთა ორგანიზაცია მადლობას უხდის გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) საქართველოს ოფისის თანამშრომლებს ინდიკატორების შემუშავებაში გაწეული დახმარებისთვის.

პუბლიკაცია მომზადებულია გაეროს ქალთა ორგანიზაციის პროექტის „ქალთა ლიდერობა დემოკრატიისთვის საქართველოში“ (WILD) ფარგლებში, რომელიც ხორციელდება შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) მხარდაჭერით.

მასში გამოთქმული შეხედულებები და მოსაზრებები ეკუთვნის მხოლოდ ანგარიშის ავტორებს და სავალდებულოდ არ გამოხატავს გაეროს ქალთა ორგანიზაციის, გაეროს განვითარების პროგრამის ან შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს ოფიციალურ პოზიციას.

© 2024 გაეროს ქალთა ორგანიზაცია

დოკუმენტი განახლდა 2026 წელს


**დიზაინერი:** თეკლა გიაშვილი

გენდერული თანასწორობის

ინდიკატორები მუნიციპალიტეტებისთვის



გაეროს ქალთა ორგანიზაცია  
თბილისი, საქართველო

 Schweizerische Eidgenossenschaft  
Confédération suisse  
Confederazione Svizzera  
Confederaziun svizra

Swiss Agency for Development  
and Cooperation SDC



# სარჩევი

შესავალი	5
დოკუმენტის მნიშვნელობა და მიზანი	6
რა არის გენდერული თანასწორობის ინდიკატორები?	6
რაში გვეხმარება გენდერული თანასწორობის ინდიკატორები?	7
მეთოდოლოგია	8
გენდერული თანასწორობის მინიმალური ინდიკატორების სია	9
დანართი 1. გენდერული თანასწორობის ინდიკატორების გაფართოებული სია	12
დანართი 2. ცხრილების რეკომენდებული ფორმატები	22
შენიშვნები	26
ბიბლიოგრაფია	27

# შესავალი

გენდერული თანასწორობის პოლიტიკის ლოკალიზაციის აქტიური მცდელობა საქართველოში 2016 წელს დაიწყო. ამ დროიდან მუნიციპალიტეტებში შეიქმნა გენდერული თანასწორობის საბჭოები და დაინიშნა გენდერზე პასუხისმგებელი პირები. შესაბამისად, მუნიციპალიტეტებმა დაიწყეს მუნიციპალური გენდერული სამოქმედო გეგმების შემუშავება. მიუხედავად იმისა, რომ წლების განმავლობაში მიღწეულია პროგრესი გენდერული თანასწორობის პოლიტიკის ლოკალიზაციის კუთხით, მუნიციპალურ დონეზე ისევ მნიშვნელოვან საკითხად რჩება მტკიცებულებებზე დაფუძნებული გენდერული თანასწორობის პოლიტიკის გაძლიერების აუცილებლობა.

მუნიციპალური მონაცემების ხელმისაწვდომობა უკიდურესად მწირია, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს ადგილობრივ დონეზე მტკიცებულებებზე დაფუძნებული, გენდერულად მგრძობიარე პოლიტიკისა და პროგრამების შემუშავებას, მონიტორინგსა და შეფასებას. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი) რეგულარულად აგროვებს მონაცემებს მუნიციპალურ დონეზე მოსახლეობის აღწერისა და სხვა ძირითადი კვლევების მეშვეობით. დღეს არსებული მდგომარეობით, საქსტატს შემუშავებული აქვს სტატისტიკის პორტალი, სადაც ხელმისაწვდომია მონაცემები საქართველოს რეგიონებისა და მუნიციპალიტეტების მიხედვით.<sup>1</sup> ასევე, გენდერული სტატისტიკის პორტალი<sup>2</sup>, რომელიც მოიცავს რიგ ჩაშლილ მონაცემს რეგიონების ან მუნიციპალიტეტების დონეზე.

მუნიციპალიტეტები, მათი გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმის შესაბამისად, გარკვეულ შემთხვევებში აგროვებენ სქესის ნიშნით ჩაშლილ მონაცემებს პროგრამის ბენეფიციარების, ხელმისაწვდომი მუნიციპალური სერვისების შესახებ და ა.შ. თუმცა, ეს მონაცემები სამივე წყაროდან იშვიათად არის ხელმისაწვდომი ან გაანალიზებული ისე, რომ ხელს უწყობდეს პროგრამებისა და პოლიტიკის შემუშავებას, ბიუჯეტირებას, გენდერული თანასწორობისა და ქალთა გაძლიერების პროგრამების მონიტორინგსა და შეფასებას. ამ ხარვეზის აღმოსაფხვრელად გაეროს ქალთა ორგანიზაციამ ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნულ ასოციაც-

ციასთან (ათეასთან) პარტნიორობით შეიმუშავა **გენდერული თანასწორობის მუნიციპალური ინდიკატორების სია**. აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს იმ სამუშაოს გაგრძელებას, რომელიც ადრეულ ეტაპზე ადგილობრივ დონეზე მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის შემუშავების მხარდასაჭერად დაიწყო. 2020 წელს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა გაეროს ქალთა ორგანიზაციის და ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით მოამზადა სპეციალური ანგარიში - „მუნიციპალური გენდერული თანასწორობის პოლიტიკის შეფასება“.<sup>3</sup> შეფასების შედეგებზე დაყრდნობით, ათეასთან თანამშრომლობით დაიგეგმა მუნიციპალიტეტების ხელშეწყობი ღონისძიებები მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის დოკუმენტების შესამუშავებლად. კერძოდ, 2021 წელს შემუშავდა **„მუნიციპალური გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმების შემუშავების გზამკვლევი“** რომლის მიხედვითაც მუნიციპალიტეტების უმრავლესობამ შეიმუშავა ან განაახლა გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმები.

გენდერული თანასწორობის ინდიკატორების სია შეესაბამება ადგილობრივ და საერთაშორისო კანონმდებლობას, მათ შორისაა: საქართველოს კონსტიტუცია; საქართველოს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ; საქართველოს კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ; კანონი ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ; საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ.

გარდა ამისა, დოკუმენტი ითვალისწინებს მთელ რიგ საერთაშორისო და ეროვნულ ჩარჩო დოკუმენტებს, როგორებიცაა: გაეროს ქარტია, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (CEDAW), ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია (ე.წ სტამბულის კონვენცია), პეკინის დეკლარაცია და სამოქმედო პლატფორმა,

გაეროს რეზოლუცია 1325, გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები (SDGs) და **ევროპული ქართია ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და კაცთა თანასწორობის შესახებ**, ადამიანის უფლებათა დაცვის 2022-2030 წლების სტრატეგია და მისი თანმხლები სამოქმედო გეგმები; ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ

ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად 2022-2024 წლებში გასატარებელ ღონისძიებათა სამოქმედო გეგმა; ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების 2022-2024 წლების საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმა.

## დოკუმენტის მნიშვნელობა და მიზანი

გენდერული სტატისტიკა და ინდიკატორები მთელი პოლიტიკის ციკლში გენდერული მეინსტრიმინგის აუცილებელი შემადგენელი ნაწილია. გენდერული სტატისტიკის მიზანია ასახოს ქალთა და კაცთა შორის ცხოვრების სხვადასხვა სფეროში არსებული განსხვავებები და უთანასწორობები, რისი ასახვაც უმნიშვნელოვანესია პოლიტიკის შემუშავების, განხორციელების, მონიტორინგის და შეფასების პროცესებში.

**გენდერული ინდიკატორი არის გენდერული განსხვავებების, დროთა განმავლობაში გენდერულ საკითხებთან დაკავშირებული ცვლილებების და გენდერული თანასწორობის მიზნის მისაღწევად არსებული პროგრესის მონიტორინგის საშუალება. (ევროპის გენდერული თანასწორობის ინსტიტუტი, 2016)**

### რა არის გენდერული თანასწორობის ინდიკატორები?

**ინდიკატორი** არის კრიტერიუმი ან საზომი რომელთან მიმართებაშიც იზომება ცვლილება. ინდიკატორი შეიძლება იყოს რიცხვები, ფაქტები, აღქმები და მოსაზრებები. ევროსტატი სტატისტიკურ ინდიკატორს განსაზღვრავს, როგორც მონაცემს განსაზღვრული დროის, ადგილის ან სხვა მახასიათებლებისთვის, რომელიც კორექტირებულია მინიმუმ ერთი განზომილებისთვის (ჩვეულებრივ ეს არის ზომა), რათა უზრუნველყოს შედარებითობა.<sup>iv</sup>

მაგალითად, უბრალო მონაცემი, როგორიცაა პარლამენტის ქალ წევრთა რაოდენობა, თავისთავად არ წარმოადგენს ინდიკატორს, რადგან ის არ არის შესადარისი ქვეყნებს შორის. თუმცა, თუ მოხდება ამ მონაცემის სტანდარტიზება, მაგალითად ქალების წილი პარლამენტის წევრების

მთლიან რაოდენობაში, ეს ფორმულირება დააკმაყოფილებს ინდიკატორის კრიტერიუმებს.

**გენდერული ინდიკატორები** (სტატისტიკური ინდიკატორები) წარმოადგენს საზომებს, რომლის მიხედვითაც ხდება მონაცემთა შეგროვება და ანალიზი და რომლებიც ზომავს გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებულ ცვლილებებს დროში. გენდერული თანასწორობის ინდიკატორი შეიძლება იყოს როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისებრივი.

**რაოდენობრივი ინდიკატორი** ეყრდნობა სქესის მიხედვით ჩაშლილ სტატისტიკურ ინფორმაციას და ფოკუსირებულია რაოდენობრივ, დათვლად ინფორმაციაზე (მაგ: ზოგად განათლებაში ჩართული გოგონების და ბიჭების პროცენტი, ქალების და კაცების წილი პარლამენტში და ა.შ.).

**თვისებრივი ინდიკატორი** კი ზომავს არა რაოდენობრივ, არამედ თვისებრივ ცვლილებებს და ფოკუსირებულია გამოცდილების, მოსაზრებების და აღქმების გაგებაზე (მაგ.: ქალების და კაცების შეხედულებები გენდერულ თანასწორობაზე ან ქალთა მიმართ ძალადობაზე, ქალთა მოსაზრებები არაფორმალურ სექტორში მუშაობის გამოწვევებზე და უპირატესობებზე, და ა.შ.). თვისებრივი ინდიკატორის გასაზომად გამოიყენება რაოდენობრივი კვლევის მეთოდები, ასევე, ხშირად გამოიყენება თვისებრივი კვლევის მეთოდები, როგორცაა ფოკუს ჯგუფები ან გამოკითხვები, რომელიც აგროვებენ ინფორმაციას აღქმებზე და დამოკიდებულებებზე. გენდერული თანასწორობის ინდიკატორები ასევე შეიძლება იყოს ფოკუსირებული კონკრეტული პროგრამის შედეგებზე (მაგ. მუნიციპალური სოციალური პროგრამებით მოსარგებლე ქალების და კაცების პროცენტიზე).<sup>v</sup>

## რაში გვეხმარება გენდერული თანასწორობის ინდიკატორები?

### გენდერული სტატისტიკა და ინდიკატორები:

- აჩვენებენ გენდერული თანასწორობის მიზნისკენ მიღწეულ პროგრესს და ხელს უწყობს გენდერული სხვაობის და გენდერული სტერეოტიპების შემცირებას სხვადასხვა სფეროში. მაგალითად, სიღარიბის დაძლევის პოლიტიკა ტრადიციულად იყენებს ოჯახის შემოსავლის კონცეფციას რესურსების განაწილების გასაზომად. ეს ემყარება იმ მოსაზრებას, რომ შემოსავალი თანაბრად ნაწილდება შინამეურნეობებში და შინამეურნეობების წევრებს შორის და იგნორირებულია შემოსავლებსა და რესურსებზე ხელმისაწვდომობის გენდერული სხვაობები და მასზე ოჯახში და საზოგადოებაში არსებული გენდერული როლებისა და ურთიერთობების გავლენა. ამ შემთხვევაში, გენდერული მონაცემების შეგროვება როგორც ინდივიდუალურ, ასევე შინამეურნეობის დონეზე, არის დამხმარე საშუალება ამგვარი განსხვავებების გამოვლენაში;
- წარმოადგენენ მტკიცებულებებს პოლიტიკის, პროგრამების, პროექტებისა და კანონმდებლობის შემუშავებისთვის, რომლებიც პასუხობს ქალთა და კაცთა, როგორც ინტერვენციის ბენეფიციარების, საჭიროებებს;
- ხელს უწყობენ მოქალაქეთა და გადანყვეტილების მიმღებთა ინფორმირებულობას გენდერული უთანასწორობის შესახებ;
- გვანვძიან ინფორმაციას იმ პოტენციურად განსხვავებულ შედეგებზე, რაც ამა თუ იმ პოლიტიკას თუ ინტერვენციას შესაძლოა ქალებზე და კაცებზე ჰქონდეს და ამით ხელს უწყობს ისეთი პოლიტიკის შემუშავებას, რომელიც არსებულ გენდერულ უთანასწორობას შეამცირებს ან/და კიდევ უფრო არ განამტკიცებს;
- წარმოადგენენ მტკიცებულებებს ინტერვენციის (მაგ., პოლიტიკის, პროგრამის, პროექტის, კანონმდებლობის) განხორციელების მონიტორინგისა და მისი შესაბამისობის, ეფექტურობისა და ეფექტიანობის შესაფასებლად, როგორც ქალების, ასევე კაცებისთვის.

**წყარო:** ევროპის გენდერული თანასწორობის ინსტიტუტი, 2016

საქართველოში მუნიციპალიტეტების გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმის დაგეგმვისთვის, განხორციელებისთვის, მონიტორინგისა და შეფასებისთვის, ისევე როგორც გენდერული ბიუჯეტირებისთვის, ასეთი ინდიკატორების სიის არსებობა კრიტიკულად მნიშვნელოვანია.<sup>vi</sup> მონაცემთა შეგროვება და ანალიზი წინასწარ განსაზღვრული ინდიკატორების მიხედვით საშუალებას მისცემს მუნიციპალიტეტებს სწორად გაანალიზონ გენდერული თანასწორობის კუთხით არსებული სიტუაცია, შესაბამისად განსაზღვრონ პრიორიტეტული ამოცანები და გაზომონ მიღწეული პროგრესი.

მუნიციპალიტეტებს, რომლებსაც ხელმძღვანელი აქვთ **ევროპული ქარტია ქალთა და კაცთა თანასწორობის შესახებ**, ინდიკატორები დაეხ-

მარება, ქარტიის პრინციპების ადგილობრივ პოლიტიკაში გათვალისწინებასა და მათ ეფექტიან შესრულებაში.

დოკუმენტში წარმოდგენილია ინდიკატორების ორი სია - მინიმალური და გაფართოებული (დანართი 1). **ინდიკატორების მინიმალური სია** განსაკუთრებით მნიშვნელოვან ინდიკატორების სიას და საორიენტაციო ჩარჩოს გთავაზობს, რომელიც მუნიციპალიტეტებს გენდერული თანასწორობის მუნიციპალური ხედვის ჩამოყალიბებაში დაეხმარება. ეს სია პირობითია და შესაძლოა შეიცვალოს ან გაფართოვდეს მუნიციპალიტეტის სიტუაციური ანალიზის გათვალისწინებით. **ინდიკატორების გაფართოებული სია**, რომელიც დანართ 1-შია წარმოდგენილი, გთავაზობს გენდერული სტატისტიკის და ინდიკატორ-

რების უფრო ვრცელ და დეტალურ ნუსხას (რეკომენდებული ჩაშლის დონის, წყაროს და პასუხისმგებელი უწყების მითითებით) და ასევე მოიცავს მინიმალურ სიაში შემავალ ინდიკატორებს. ეს სია მოიაზრება როგორც დამხმარე სია ინდიკატორების მინიმალური ნუსხის გასაფართოებლად და ამავდროულად მუნიციპალიტეტებს დაეხმარება ერთი მხრივ, გენდერული თანასწორობის პოლიტიკის, ხოლო მეორე მხრივ, სხვადასხვა სექტორულ პოლიტიკაში (განათლებაში, სპორტში, ჯანდაცვაში, ეკონომიკურ გაძლიერებაში, და ა.შ.) გენდერული მენისტრიმინგის განხორციელებაში.

შესაბამისად, წინამდებარე დოკუმენტის ამოცანებს წარმოადგენს:

- გენდერული სამოქმედო გეგმების განხორციელების და მისი მონიტორინგის გასაუმჯობესებლად გენდერული თანასწორობის მინიმალური ინდიკატორების სიის განსაზღვრა
- ეროვნულ და მუნიციპალიტეტების დონეზე არსებული წყაროების გამოყენებით გენდერული მონაცემების წარმოების და ანალიზის გაუმჯობესება და სტანდარტიზება

## მეთოდოლოგია

გენდერული თანასწორობის ინდიკატორების მინიმალური სიის განსაზღვრად გამოყენებული იქნა შემდეგი მეთოდები:

- **დოკუმენტის ანალიზი:** გაანალიზდა შესაბამისი საერთაშორისო და ეროვნული დოკუმენტები, რათა მომხდარიყო მუნიციპალური მონაცემების საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტების დადგენა და ქვეყანაში არსებული მუნიციპალური გენდერული მონაცემების ხელმისაწვდომობის შეფასება.
- **კონსულტაციები ძირითად დაინტერესებულ მხარეებთან:** ძირითადი დაინტერესებული მხარეების საჭიროებების გამოსავლენად და მუნიციპალური დონის მონაცემების გენერირებაში არსებული შესაძლებლობების და გამოწვევების დასადგენად, ჩატარდა კონსულტაციები საქსტატთან, ათეასთან და ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლებთან.
- **ინდიკატორების პირველადი სიის შემუშავება:** დოკუმენტების ანალიზის და ძირითად დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების შედეგად შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე, განისაზღვრა გენდერული თანასწორობის ინდიკატორების გაფართოებული სია (დანართი 1). მოცემული სია თითოეული ინდიკატორისთვის განსაზღვრავს

დისაგრეგაციის დონეს (როგორც არსებულს, ასევე რეკომენდებულს), მონაცემთა წყაროს და პასუხისმგებელ უწყებას, და სადაც შესაძლებელია ზუსტ ინსტრუქციებს ამ მონაცემების მოსაძიებლად. ინდიკატორების იმ ნაწილისთვის, რომლებსთვისაც მონაცემების შეგროვების პასუხისმგებლობა მუნიციპალიტეტებს ეკისრებათ, შემუშავდა ცხრილების შაბლონები, რომელსაც სარეკომენდაციო ხასიათი აქვს (დანართი 2). აღნიშნული სია არაა ამომწურავი, თუმცა მეტ-ნაკლებად ფარავს იმ მონაცემებს რაც ან უკვე ხელმისაწვდომია, ან შესაძლოა პასუხისმგებელი უწყებების მინიმალური ძალისხმევით გახდეს ხელმისაწვდომი და რეკომენდებულია გაანალიზდეს მუნიციპალიტეტების საქმიანობის დაგეგმვისას.

- **ვალიდაცია და მინიმალური/პრიორიტეტული ინდიკატორების სიის შემუშავება:** შემუშავებული დოკუმენტის ვალიდაციის მიზნით, ჩატარდა შემდგომი კონსულტაციები საქსტატის, ათეას და მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებთან და მიღებული უკუკავშირის საფუძველზე განისაზღვრა გენდერული თანასწორობის ინდიკატორების მინიმალური სია, რომელიც გაფართოებული ნუსხიდან შეირჩა, როგორც მათი პრიორიტეტულობის, ასევე ხელმისაწვდომობის პრინციპით.

# გენდერული თანასწორობის მინიმალური ინდიკატორების სია



## დემოგრაფია და ჯანდაცვა

- ქორწინების საშუალო ასაკი სქესის მიხედვით (დანართი 1, ინდიკატორი 1.1)
- სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობა დაბადებისას (დანართი 1, ინდიკატორი 2.1)
- დედის საშუალო ასაკი ბავშვის დაბადებისას (დანართი 1, ინდიკატორი 2.2)



## ქალთა ეკონომიკური გაძლიერება და სოციალური დაცვა

- დასაქმების, უმუშევრობის და სამუშაო ძალის მონაწილეობის დონე სქესის მიხედვით (დანართი 1, ინდიკატორი 4.1; 4.14; 4.15; 4.16)
- ქალების და კაცების რაოდენობა და პროცენტული წილი სხვადასხვა მუნიციპალური სოციალური პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარებში პროგრამის, დახმარების ტიპის და განეული ხარჯის მიხედვით (დანართი 1, ინდიკატორი 3.1)
- წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტის მიერ ჩატარებული ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებაზე ორიენტირებული აქტივობების რაოდენობა, მოკლე აღწერა და ბენეფიციართა რაოდენობა (დანართი 1, ინდიკატორი 4.2; 4.3)
- ქალების და კაცების პროცენტული წილი სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ინიცირებული პროექტების ინიციატორთა და გამარჯვებულთა რაოდენობაში (დანართი 1, ინდიკატორი 4.4; 4.5)
- მუნიციპალიტეტში არსებული სოფლების პროცენტული წილი, რომლებიც უზრუნველყოფილნი არიან რეგულარული (საათში ერთხელ) მუნიციპალური ტრანსპორტით ადმინისტრაციულ ცენტრამდე (დანართი 1, ინდიკატორი 3.2)
- მუნიციპალიტეტში არსებული სოფლების პროცენტული წილი, რომლებიც უზრუნველყოფილნი არიან 24 საათიანი წყალმომარაგებით (დანართი 1, ინდიკატორი 3.3)
- მუნიციპალიტეტში არსებული სოფლების წილი, რომლებიც უზრუნველყოფილნი არიან ბუნებრივი აირით 24 საათის განმავლობაში (დანართი 1, ინდიკატორი 3.4)
- მუნიციპალიტეტში არსებული სოფლების წილი, რომლებიც უზრუნველყოფილნი არიან ელექტროენერგიით 24 საათის განმავლობაში (დანართი 1, ინდიკატორი 3.5)

**12.** ქალების და კაცების პროცენტული წილი ზოგადსაგანმანათლებლო და სკოლამდელი აღზრდის და განათლების დაწესებულებების პედაგოგების და დირექტორების რაოდენობაში (დანართი 1, ინდიკატორი 5.2; 5.3; 5.4; 5.5.)

**13.** ქალების და კაცების პროცენტული წილი ექთნების და ექიმების რაოდენობაში (დანართი 1, ინდიკატორი 2.3;2.4.)



### განათლება, სპორტი და კულტურა

**14.** გოგონების და ბიჭების პროცენტული წილი საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა რაოდენობაში (დანართი 1, ინდიკატორი 5.1.)

**15.** სკოლის მიტოვების მაჩვენებელი სქესის და სწავლის საფეხურის მიხედვით (დანართი 1, ინდიკატორი 5.6)

**16.** ქალების და კაცების წილი მუნიციპალიტეტის მიერ გამართულ (სპორტულ, კულტურულ, საგანმანათლებლო-შემეცნებით, ახალგაზრდულ) ღონისძიებებში მონაწილეთა რაოდენობაში (დანართი 1, ინდიკატორი 5.7)

**17.** ქალების და კაცების წილი მუნიციპალიტეტში არსებული პროფესიული სასწავლებლის მოსწავლეთა რაოდენობაში სპეციალიზაციის მიხედვით (დანართი 1, ინდიკატორი 5.8)



### ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობა

**18.** წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტის მიერ ჩატარებული ქალთა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების და მათი ბენეფიციარების რიცხოვნობა (დანართი 1, ინდიკატორი 6.1; 6.2)

**19.** ადგილობრივი ბიუჯეტიდან ქალთა მიმართ ძალადობის მსხვერპლთა /გადარჩენილთა მხარდაჭერის სერვისებზე გამოყოფილი თანხა და ამ თანხის პროცენტული წილი მუნიციპალიტეტის წლიურ ბიუჯეტთან მიმართებით (დანართი 1, ინდიკატორი 6.3)

**20.** ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა რიცხოვნობა ასაკის და სქესის მიხედვით (ხელმისაწვდომია მხოლოდ რეგიონულ ქრილში) (დანართი 1, ინდიკატორი 6.4)


**21.** გაცემული შემაკავებელი და დამცავი ორდერების რაოდენობა სქესის მიხედვით (ხელმისაწვდომია მხოლოდ რეგიონულ ქრილში) (დანართი 1, ინდიკატორი 6.5; 6.6)

**22.** ოჯახში ძალადობის შესახებ 112-ზე და ცხელ ხაზზე (116-006) განხორციელებული ზარების რაოდენობა სქესის და ასაკის მიხედვით (დანართი 1, ინდიკატორი 6.7; 6.8)



### ქალთა მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში

23. მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში და მერიაში დასაქმებულთა რიცხოვნობა და პროცენტული განაწილება პოლიტიკური თანამდებობის, რანგის და სქესის მიხედვით (დანართი 1, ინდიკატორი 7.1; 7.2)
24. წლის განმავლობაში ჩატარებული გადაწყვეტილების მიღების და პოლიტიკურ პროცესებში ქალთა ჩართულობის ხელშეწყობაზე ორიენტირებული ღონისძიებების რიცხოვნობა (დანართი 1, ინდიკატორი 7.3)
25. საკრებულოს წევრების განაწილება თანამდებობისა და სქესის მიხედვით (დანართი 1, ინდიკატორი 7.5)



### გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმები

26. ქალების და კაცების პროცენტული წილი გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრების რაოდენობაში (დანართი 1, ინდიკატორი 7.5)
27. გენდერული თანასწორობის მუნიციპალური სამოქმედო გეგმის შესრულების მაჩვენებელი (დანართი 1, ინდიკატორი 8.1)
28. გენდერული თანასწორობის საბჭოს წლიური ბიუჯეტი და მისი წილი მუნიციპალიტეტის წლიურ ბიუჯეტში (დანართი 1, ინდიკატორი 8.2)

# დანართი 1. გენდერული თანასწორობის ინდიკატორების გაფართოებული სია

#	ინდიკატორი	ჩაშლის დონე	პასუხისმგებელი უწყება/მონაცემთა წყარო	ხელმისაწვდომობა <sup>vii</sup>
<b>1. ზოგადი დემოგრაფიული მონაცემები</b>				
1.1	ქორწინებათა რაოდენობა, დაქორწინებულთა რაოდენობა ასაკის და სქესის მიხედვით, ქორწინების საშუალო ასაკი სქესის მიხედვით	მუნიციპალიტეტი, სქესი. რეკომენდებული ჩაშლა: ეთნიკურობა, შეზღუდული შესაძლებლობა, დასახლების ტიპი	უწყება: საქსტატი წყარო: სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო	საქსტატის მუნიციპალური პორტალი: <a href="http://regions.geostat.ge/regions/">http://regions.geostat.ge/regions/</a> რეგიონი/მუნიციპალიტეტი/დემოგრაფია/ქორწინება/ <b>ცხრილის დასახელება:</b> ქორწინების რიცხოვნობა; ქორწინების საშუალო ასაკი ქორწინების რიცხოვნობა ასაკის და სქესის მიხედვით;
1.2	მოსახლეობის რაოდენობა და პროცენტული განაწილება ასაკის და სქესის მიხედვით	მუნიციპალიტეტი, სქესი, ასაკობრივი ჯგუფი. რეკომენდებული ჩაშლა: ეთნიკურობა, შეზღუდული შესაძლებლობა, დასახლება, დასახლების ტიპი, დევნილის სტატუსი	უწყება: საქსტატი წყარო: საყოველთაო აღწერა	საქსტატის მუნიციპალური პორტალი: <a href="http://regions.geostat.ge/regions/">http://regions.geostat.ge/regions/</a> რეგიონი/მუნიციპალიტეტი/დემოგრაფია/მოსახლეობის 2014 წლის აღწერა/ <b>ცხრილის დასახელება:</b> მოსახლეობის რიცხოვნობა ასაკობრივი ჯგუფების, საქალაქო-სასოფლო დასახლებების და სქესის მიხედვით
1.3	65 წელზე მეტი ასაკის მოსახლეობის წილი (%) სქესის მიხედვით	მუნიციპალიტეტი, სქესი. რეკომენდებული ჩაშლა: ეთნიკურობა, შეზღუდული შესაძლებლობა, დასახლება, დასახლების ტიპი	უწყება: საქსტატი წყარო: საყოველთაო აღწერა	საქსტატის მუნიციპალური პორტალი: <a href="http://regions.geostat.ge/regions/">http://regions.geostat.ge/regions/</a> რეგიონი/მუნიციპალიტეტი/დემოგრაფია/მოსახლეობის 2014 წლის აღწერა/ <b>ცხრილის დასახელება:</b> 65 წელზე მეტი ასაკის მოსახლეობის წილი (%)
1.4	შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის წილი მუნიციპალიტეტის მთლიან მოსახლეობაში (%) სქესის მიხედვით	მუნიციპალიტეტი, სქესი. რეკომენდებული ჩაშლა: ეთნიკურობა, შეზღუდული შესაძლებლობა, დასახლება, დასახლების ტიპი	უწყება: საქსტატი წყარო: საყოველთაო აღწერა	საქსტატის მუნიციპალური პორტალი: <a href="http://regions.geostat.ge/regions/">http://regions.geostat.ge/regions/</a> რეგიონი/მუნიციპალიტეტი/დემოგრაფია/მოსახლეობის 2014 წლის აღწერა/ <b>ცხრილის დასახელება:</b> შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის წილი მუნიციპალიტეტის მთლიან მოსახლეობაში (%)
1.5	გარდაცვლილთა რაოდენობა და პროცენტული წილი სქესის და გარდაცვალების მიზეზების ძირითადი კლასების მიხედვით	მუნიციპალიტეტი, სქესი, გარდაცვალების მიზეზები. რეკომენდებული ჩაშლა: ეთნიკურობა, შეზღუდული შესაძლებლობა, დასახლების ტიპი, ასაკობრივი ჯგუფი,	უწყება: საქსტატი წყარო: სსიპ ლევან საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლი-სა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი; სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო	საქსტატის მუნიციპალური პორტალი: <a href="http://regions.geostat.ge/regions/">http://regions.geostat.ge/regions/</a> რეგიონი/მუნიციპალიტეტი/დემოგრაფია/გარდაცვალება/ <b>ცხრილის დასახელება:</b> გარდაცვლილთა რიცხოვნობა სქესის და გარდაცვალების მიზეზების ძირითადი კლასების მიხედვით
1.6	განქორწინებულთა რაოდენობა და პროცენტული წილი ასაკის და სქესის მიხედვით	მუნიციპალიტეტი, სქესი, ასაკობრივი ჯგუფი. რეკომენდებული ჩაშლა: ეთნიკურობა, შეზღუდული შესაძლებლობა, დასახლების ტიპი	უწყება: საქსტატი წყარო: სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო	საქსტატის მუნიციპალური პორტალი: <a href="http://regions.geostat.ge/regions/">http://regions.geostat.ge/regions/</a> რეგიონი/მუნიციპალიტეტი/დემოგრაფია/განქორწინება/ <b>ცხრილის დასახელება:</b> განქორწინებულთა რიცხოვნობა ასაკის და სქესის მიხედვით

## 2. ჯანდაცვა

<b>2.1</b>	სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობა დაბადებისას	მუნიციპალიტეტი, სქესი. რეკომენდებული ჩაშლა: რიგიობის მიხედვით	უწყება: საქსტატი წყარო: სსიპ ლევან საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი; სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო	საქსტატის მუნიციპალური პორტალი: <a href="http://regions.geostat.ge/regions/">http://regions.geostat.ge/regions/</a> რეგიონი/მუნიციპალიტეტი/დემოგრაფია/დაბადება/ცხრილის დასახელება: სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობა დაბადებისას
<b>2.2</b>	დედის საშუალო ასაკი ბავშვის დაბადებისას	მუნიციპალიტეტი, ასაკობრივი ჯგუფი. რეკომენდებული ჩაშლა: ეთნიკურობა, შეზღუდული შესაძლებლობა, დასახლების ტიპი	უწყება: საქსტატი წყარო: სსიპ ლევან საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი; სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო	საქსტატის მუნიციპალური პორტალი: <a href="http://regions.geostat.ge/regions/">http://regions.geostat.ge/regions/</a> რეგიონი/მუნიციპალიტეტი/დემოგრაფია/დაბადება/ცხრილის დასახელება: დედის საშუალო ასაკი ბავშვის დაბადებისას
<b>2.3</b>	საექთნო პერსონალის რაოდენობა და პროცენტული განაწილება სქესის მიხედვით	მუნიციპალიტეტი, სქესი	უწყება: საქსტატი წყარო: სსიპ ლევან საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი	
<b>2.4</b>	ექიმების რაოდენობა და პროცენტული განაწილება სქესის მიხედვით	მუნიციპალიტეტი, სქესი	უწყება: საქსტატი წყარო: სსიპ ლევან საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი	
<b>2.5</b>	ცოცხლად დაბადებულთა რაოდენობა და პროცენტული განაწილება სქესის მიხედვით	მუნიციპალიტეტი, სქესი. რეკომენდებული ჩაშლა: რიგიობის მიხედვით	უწყება: საქსტატი წყარო: სსიპ ლევან საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლი-სა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი; სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო	საქსტატის მუნიციპალური პორტალი: <a href="http://regions.geostat.ge/regions/">http://regions.geostat.ge/regions/</a> რეგიონი/მუნიციპალიტეტი/დემოგრაფია/დაბადება/ცხრილის დასახელება: ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობა სქესის მიხედვით
<b>2.6</b>	დედათა სიკვდილიანობის რაოდენობა	მუნიციპალიტეტი, სქესი	უწყება: საქსტატი წყარო: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	
<b>2.7</b>	თვითმკვლელობების რაოდენობა სქესის და ასაკის მიხედვით	მუნიციპალიტეტი, სქესი, ასაკი	უწყება: საქსტატი წყარო: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	
<b>2.8</b>	არასრულწლოვანთა მშობიარობის რეგისტრირებული შემთხვევების რაოდენობა	მუნიციპალიტეტი, სქესი	უწყება: საქსტატი წყარო: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	
<b>2.9</b>	ამბულატორიულ-პოლიკლინიკურ დაწესებულებებში ექიმთან მიმართვების რაოდენობა სქესის მიხედვით	მუნიციპალიტეტი, სქესი	უწყება: საქსტატი წყარო: სსიპ ლევან საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი	
<b>2.10</b>	მოსახლეობის განაწილება (რიცხოვნობა) ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების (ნაწილობრივი, მნიშვნელოვანი ან სრული) რაოდენობის, ასაკის და სქესის მიხედვით	მუნიციპალიტეტი, შეზღუდვის ტიპი, შეზღუდვის დონე, ასაკი, სქესი	უწყება: საქსტატი წყარო: მოსახლეობის საყოველთაო აღწერა	

**3. მუნიციპალურ სერვისებზე ხელმისაწვდომობა**

3.1	მუნიციპალური სოციალური პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების რაოდენობა და პროცენტული განაწილება პროგრამის, დახმარების ტიპის, გაწეული ხარჯის და სქესის მიხედვით	მუნიციპალიტეტი, სქესი, პროგრამები, დახმარების ტიპი და გაწეული ხარჯის ოდენობა. რეკომენდებული ჩამლა: ასაკობრივი ჯგუფი, დასახლების ტიპი, ეთნიკურობა, შშმ სტატუსი, დევნილის სტატუსი, ძალადობის მსხვერპლის სტატუსი, სოციალურად დაუცველის სტატუსი, მარტოხელა მშობელი, ხანდაზმული, არასრულწლოვანი	უწყება: მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახური  წყარო: იგივე	მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახური  ცხრილის ფორმატისთვის იხილეთ დანართი #1-ის ცხრილი #1: სოციალური უზრუნველყოფა (მუნიციპალური პროგრამები)
3.2	მუნიციპალიტეტში არსებული სოფლების რაოდენობა და პროცენტული წილი, რომლებიც უზრუნველყოფილია რეგულარული მუნიციპალური ტრანსპორტით ადმინისტრაციულ ცენტრამდე	მომსახურების გრაფიკის მითითებით (მაგალითად, საათში ერთხელ, დღეში ერთხელ, კვირაში ერთხელ და ა.შ.) კერძო კომპანიების ჩათვლით	უწყება: მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახური  წყარო: იგივე	
3.3	მუნიციპალიტეტში არსებული სოფლების რაოდენობა და პროცენტული წილი, რომლებიც უზრუნველყოფილია წყალმომარაგებით	წყალმომარაგების გრაფიკის მითითებით (24 საათიანი, გრაფიკით დღეში 4 საათი და ა.შ.)	უწყება: მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახური  წყარო: იგივე	
3.4	მუნიციპალიტეტში არსებული სოფლების რაოდენობა და პროცენტული წილი, რომლებიც უზრუნველყოფილია ბუნებრივი აირით (24 საათის განმავლობაში)		უწყება: მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახური  წყარო: იგივე	
3.5	მუნიციპალიტეტში არსებული სოფლების რაოდენობა და პროცენტული წილი, რომლებიც უზრუნველყოფილია ელექტროენერგიით (24 საათის განმავლობაში)			
3.6	მუნიციპალიტეტში არსებული სოფლების რაოდენობა და პროცენტული წილი, რომლებიც უზრუნველყოფილია ნარჩენების რეგულარული გატანით	დასახლებაში ბუნებრივ რაოდენობის მითითებით	უწყება: მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახური  წყარო: იგივე	

4. ქალთა ეკონომიკური გაძლიერება და სოციალური დაცვა

4.1	მოსახლეობის განაწილება მუნიციპალიტეტის, ასაკის, ეკონომიკური საქმიანობის, დასაქმების სტატუსის და სქესის მიხედვით	მუნიციპალიტეტი, ასაკი, ეკონომიკური საქმიანობა, დასაქმების სტატუსი და სქესი. რეკომენდებული ჩამლა: მშპ პირები	უწყება: საქსტატი წყარო: მოსახლეობის საყოველთაო აღწერა	აქ აკლია მონაცემები
4.2	წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტის მიერ ჩატარებული ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებაზე ორიენტირებული აქტივობების რაოდენობა და მოკლე აღწერა	N/A	უწყება: მუნიციპალიტეტების გენდერული საბჭო/ გენდერზე პასუხისმგებელი პირი წყარო: იგივე	მუნიციპალიტეტების გენდერული საბჭო/გენდერზე პასუხისმგებელი პირი ცხრილის ფორმატისთვის იხ დაწარით #1-ის ცხრილი #2: გენდერული საბჭოების აქტივობების კატეგორიზება თემატური მიმართულებების მიხედვით
4.3	ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებაზე ორიენტირებული აქტივობების ბენეფიციართა რაოდენობა	მუნიციპალიტეტი, სქესი, რეკომენდებული ჩამლა: ეთნიკურობა, მეზღუდული შესაძლებლობა, დასახლების ტიპი, ასაკობრივი ჯგუფი	უწყება: მუნიციპალიტეტების გენდერული საბჭო/ გენდერზე პასუხისმგებელი პირი წყარო: იგივე	მუნიციპალიტეტების გენდერული საბჭო/გენდერზე პასუხისმგებელი პირი ცხრილის ფორმატისთვის იხ დაწარით #1-ის ცხრილი #2: გენდერული საბჭოების აქტივობების კატეგორიზება თემატური მიმართულებების მიხედვით
4.4	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ინიცირებული პროექტების ინიციატორთა რიცხოვნობა და პროცენტული განაწილება სქესის მიხედვით	მუნიციპალიტეტი, სქესი რეკომენდებული ჩამლა: ეთნიკურობა, მეზღუდული შესაძლებლობა, დასახლების ტიპი, ასაკობრივი ჯგუფი	უწყება: მერიის ადმინისტრაციული სამსახური წყარო: მერიის ადმინისტრაციული სამსახური	მერიის ადმინისტრაციული სამსახური ცხრილის ფორმატისთვის იხ დაწარით #1-ის ცხრილი #4: მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული სამსახურის მიერ წარმოებულ სოფლის მხარდაჭერის პროგრამის სტატისტიკა
4.5	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გამარჯვებულ ინიციატორთა რაოდენობა და პროცენტული განაწილება სქესის მიხედვით	მუნიციპალიტეტი, სქესი რეკომენდებული ჩამლა: ეთნიკურობა, მეზღუდული შესაძლებლობა, დასახლების ტიპი, ასაკობრივი ჯგუფი	უწყება: მერიის ადმინისტრაციული სამსახური წყარო: მერიის ადმინისტრაციული სამსახური	მერიის ადმინისტრაციული სამსახური ცხრილის ფორმატისთვის იხილეთ დაწარით #1-ის ცხრილი #4: მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული სამსახურის მიერ წარმოებულ სოფლის მხარდაჭერის პროგრამის სტატისტიკა
4.6	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში წლის განმავლობაში ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა	N/A	უწყება: მერიის ადმინისტრაციული სამსახური წყარო: მერიის ადმინისტრაციული სამსახური	მერიის ადმინისტრაციული სამსახური ცხრილის ფორმატისთვის იხ დაწარით #1-ის ცხრილი #4: მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული სამსახურის მიერ წარმოებული სოფლის მხარდაჭერის პროგრამის სტატისტიკა
4.7	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ჩატარებულ დონისძიებებზე დამსწრეთა რაოდენობა და პროცენტული განაწილება სქესის მიხედვით	მუნიციპალიტეტი, სქესი რეკომენდებული ჩამლა: ეთნიკურობა, მეზღუდული შესაძლებლობა, დასახლების ტიპი, ასაკობრივი ჯგუფი	უწყება: მერიის ადმინისტრაციული სამსახური წყარო: მერიის ადმინისტრაციული სამსახური	მერიის ადმინისტრაციული სამსახური ცხრილის ფორმატისთვის იხ დაწარით #1-ის ცხრილი #4: მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული სამსახურის მიერ წარმოებული სოფლის მხარდაჭერის პროგრამის სტატისტიკა
4.8	ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა და პროცენტული განაწილება სქესის და ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით	მუნიციპალიტეტი, სქესი რეკომენდებული ჩამლა: ეთნიკურობა, მეზღუდული შესაძლებლობა, დასახლების ტიპი, ასაკობრივი ჯგუფი	უწყება: საქსტატი წყარო: საწარმოთა წლიური გამოკვლევა	საქსტატის მუნიციპალური პორტალი: <a href="http://regions.geostat.ge/regions/">http://regions.geostat.ge/regions/</a> რეგიონი/მუნიციპალიტეტი/დასაქმება და ხელფასები/ცხრილის დასახელება: დასაქმებულთა რაოდენობა - ბიზნეს სექტორში
4.9	დაქირავებით დასაქმებულთა შრომის საშუალო თვიური ანაზღაურება-ბიზნეს სექტორში (ლარი), სქესის მიხედვით	მუნიციპალიტეტი, სქესი რეკომენდებული ჩამლა: ეთნიკურობა, მეზღუდული შესაძლებლობა, დასახლების ტიპი, ასაკობრივი ჯგუფი	უწყება საქსტატი წყარო: საწარმოთა წლიური გამოკვლევა	საქსტატის მუნიციპალური პორტალი: <a href="http://regions.geostat.ge/regions/">http://regions.geostat.ge/regions/</a> რეგიონი/მუნიციპალიტეტი/დასაქმება და ხელფასები/ცხრილის დასახელება: დაქირავებით დასაქმებულთა შრომის საშუალო თვიური ანაზღაურება - ბიზნეს სექტორში (ლარი)

4.10	პენსიის მიმღებთა რაოდენობა და პროცენტული განაწილება სქესის მიხედვით	მუნიციპალიტეტი, სქესი	უწყება: საქსტატი წყარო: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	საქსტატის მუნიციპალური პორტალი: <a href="http://regions.geostat.ge/regions/">http://regions.geostat.ge/regions/</a> რეგიონი/მუნიციპალიტეტი/ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა/სოციალური უზრუნველყოფა ცხრილის დასახელება: სოციალური უზრუნველყოფა
4.11	სოციალური პაკეტის მიმღებთა რაოდენობა და პროცენტული განაწილება სქესის მიხედვით	მუნიციპალიტეტი, სქესი. რეკომენდებული ჩამლა: შშმ, მარჩენალდაკარგული, სხვა	უწყება: საქსტატი წყარო: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	საქსტატის მუნიციპალური პორტალი: <a href="http://regions.geostat.ge/regions/">http://regions.geostat.ge/regions/</a> რეგიონი/მუნიციპალიტეტი/ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა/სოციალური უზრუნველყოფა ცხრილის დასახელება: სოციალური უზრუნველყოფა
4.12	საქართველოში მოქმედი აქტიური ეკონომიკური სუბიექტები საქმიანობის სახეების და ხელმძღვანელის სქესის მიხედვით	მუნიციპალიტეტი, საქმიანობის სახე, სქესი	უწყება: საქსტატი წყარო: ბიზნეს რეგისტრი	
4.13	საქართველოში მოქმედი აქტიური ეკონომიკური სუბიექტები ბიზნესის ზომის და ხელმძღვანელის სქესის მიხედვით	მუნიციპალიტეტი, ბიზნესის ზომა, სქესი	უწყება: საქსტატი წყარო: ბიზნეს რეგისტრი	
4.14	უმუშევრობის დონე რეგიონის და სქესის მიხედვით (%)	რეგიონი, სქესი რეკომენდებული ჩამლა: მუნიციპალიტეტი, ასაკობრივი ჯგუფი, შშმ სტატუსი.	უწყება საქსტატი წყარო: სამუშაო ძალის გამოკვლევა	
